ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 411

«30» ოქტომბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, აეროპორტის დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში, აეროპორტის დასახლებაში, ევროპის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩებს, თანდართული რუკის თანახმად, მიენიჭოს შემდეგი სახელები:

მფრინავი, ავიაციის პოლკოვნიკი ალექსი შიუკაშვილის;

სამხედრო მფრინავი, კაპიტანი ბორის ბერიძის;

ჰაერნაოსანი, აერონავტი ვლადიმერ გარაყანიძის.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გახორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

X_496413.4427
Y_ 4614845.3637
X_496211.4277
Y_ 4614805.2488
ალექსი შიუკაშვილის ქ.
ბორის ბერიძის ქ.
X_496442.1242
Y_ 4614776.1004
X_496244.3679
Y_ 4614690.9586
ალექსი შიუკაშვილის ქ
X_496459.6782
Y_ 4614605.4039
ვლადიმერ გარაყანიძის ქ.
X_496315.1311
Y_ 4614582.1254